

579 /  
1989/2

ISSN 0132-5965



1989 ԶԵՊԱՆ Ն-5

ՔՈՂՄԱՆ



ՀԱՅԱ  
ՀԱՅԱ

1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. დღე  
რევოლუციური შემართებისა, პოროგ ძალებზე გამარჯვებისა. დღე  
მსოფლიოს მშრომელი ადამიანების მმობისა, მეგობრობისა.



...ბარიკადი კანკალებდა, გავროში კი მღეროდა. ტუვიები დასდევდა, ის კი უფრო  
მარდი იყო, ვიდრე ტუვია. სიკვდილთან რაღაც საშინელ დამალობანას თამაშობდა.

მაგრამ ერთი კარგად დამიზნებული ტუვია მაინც მისწვდა მოუხელობელ ბავშვებს.  
დაინახეს: გავროში დაბარბაცდა, მერე დაუშვა. მთელმა ბარიკადმა ერთხმად წამოიყ-  
ვირა. გავროშმა მაშინვე წამოიწია, მაგრამ ალარ ამდგარა. ქვაფენილზე დარჩა და-  
ჭდარი. სახეშე სისხლის დვარი სდიოდა. გავროშმა ხელები მაღლა აღმართა, მიიხედა  
იქით, ხაიდანაც ტუვია მოხვდა და სიმღერა დაიწყო:

მე მიწანე ღვევცი,  
ეს კოლერის ბრალია,  
ცხვირი რუში ჩაგვარი,  
ეს კი რუსის ....

ვეღარ დაამთავრა... იმავე მსროლელის მეორე ტუვიამ სიმღერა უცბად შეაწყვე-  
ტინა. გავროში პირქვე დაეცა და ალარ განძრეულა.


ვისთომ აივაო




...დიდება ხალხისფის წაშებულ რაინდებს,  
ვინც თავი გახწირა, ვინც სისხლი დადგარა,  
მათ სხოვნას ქვეეანა სანთლებად აინთებს...

დროშები ჩქარა!

აღალა ათიონ აღაგია





## ბებერი პანტა

აოთა არაბული

79037

— ბიჭო, მამუკა, ყორიაული ხარ და  
სოფელი ყორიაულთა კი არ გინახია, —  
უთვლიდა მამუკას სოფლიდან იმედა პა-  
პა, — პაპა თუ არ მოგენატრა, თავის სო-  
ფელი მიინც გენახა.

და მამამ მთისკენ გააქროლა პატარა  
მამუკა.

მოხუცმა გაიხარა შვილიშვილის ნახ-  
ვით. მაგრამ შვილიშვილმა თუ გაახა-  
რა იმედა პაპა, შვილმა შარშანდელივით  
გააღიზიანა და გაანაწეუნა: ეზოში გარაუის  
ადგილი არაა და ეზოს კიდეში ბებერი პან-  
ტის ხე უნდა მოიჭრას, სხვა არაფერი ეშ-  
ველებათ.

— დახანგრევად და მოსაჭრელად ამო-  
დიხარ სოფელში, აქ შენი გაკეთებული  
ვერაფერი ვნახეო, — აბორგდა იმედა პა-  
პა, — მაგ ხის პანტით გაზრდილი, როგო-  
რა ფიქრობ მაგის მოჭრასო!..

მამუკა უსმენდა პაპისა და მამის კა-  
მათს და თვალი ბებერ პანტის ხეზე რჩე-  
ბოდა. ადრე ახეთ რამეზე არახოდეს უფიქ-

რია — ხეებს როდის სჭრიაღნენ, რა მიზე-  
ზით, ანდა კარგი იყო ეს თუ ცუდი.

ხეები ბლომად იყო ყორიაულების  
ეზოს ირგვლივ, მაგრამ ის ბებერი პანტის  
ხე უველაზე ახოვანი ჩანდა, ალბათ, ორი  
კაცი ძლივს შემოაწვდენდა ხელს. იდგა  
ამაყად გადაშლილი, ეზოს გადაფოფრე-  
ბული, ძლიერი და ჭანმაგარი, არხევდა  
მკვაბე ნაყოფით დახუნდლულ, დაკორძილ  
ტოტებს და ნებიერად შრიალებდა.

ალბათ, პაპას ხნისა, ან უფრო დიდი  
იქნებაო, ფიქრობდა მამუკა და შორიდან  
თვალმოწურული გაპულრებდა აშრია-  
ლებულ ხეს.

— შვილო, შორიდან რას უყურებ, —  
გამოარკვია მამუკა იმედა პაპას ხმამ, —  
მაგას გულში უნდა ჩახედო, ახლოდან  
უნდა შემოუარო, გაესაუბრო, მოეცერო,  
რომ ბევრი და გემრიელი პანტა მსხალი  
დაგიმწიფოს.

მან ბაეშვეს ხელი მოხვია და ხესთან მი-  
იყვანა. ხესთან მისულ პაპას და შვილიშ-



ვილს პანტის კუზიანი ფეხვებიდან გამობრძანებული ზღარბი „მიესამა“, შებრუნდა, შემობრუნდა, ცხვირი წაიწვდინა, პაერმ მოყნოსა და ფართიფურთით შეიმალა ფეხვების ქვეშ.

— ეგ პირველ სართულზე ცხოვრობს, — ჩაიცინა პაპამ, — ზევით ახვლა არ შეუძლია და რა ქნას...

მამუკა დაუაციცებული უთვალოვალებდა ხის ფეხვებში გახვეულ, ხავსში მოფაჩუნე ზღარბს.

— აგერ, ღობის თავშე გადასულ იმ

ტოტზე ერთი ბებერი ცვავი ცხოვრის, მოფრაშენაშდება სალამის დეპარტამენტის და ჩაიფლოხვება ბუდეში. მაგრავის მისამართით, დაბლა, ხშირფოთლოვანში, ენა-ჭარტალა ჩიხივებს აუშენებიათ ბინა, კარგა ხანია, ალარსად მიდიან, დარწმუნდნენ, რომ არავინ მტრობს, და ცხოვრობენ თავისოვის. ახლა ბარტუები ეყოლებათ გამოჩეული, ისე მიღი-მოდიან ნისკარტსავსეები მთელ დღეს.

— აქეთ, საჩალის მხარეს კი, — პაპამ ხელი გაიშვირა, — აგერ იმ ფითრის ძირში, ციყვის ფულუროა. ახლა, ჩანს, საშოვარზეა წასული, თორემ მაგის არმოდჩარბოდა უნდა ნახო... რაც მაგას ამ ხეზე უჩენია, დედამიწას შემოუვლიდა იმ სიარულით... დაბინდებისას უთუოდ დაბრუნდება დალლილი და დაიძინებს.

— ფულუროს ქვემოთ ობობას კოხტად მოქსოვილ ქსელს თუ ხედავ?

— ვხედავ, — უპასუხა მამუკამ თვალებდაუცაციცებულმა.

— ჰოდა, მანდ ეგეთი წითელწარბა, ცერის ოდენა ობობა ცხოვრობს, ცა ქუდად არ მიაჩინა, დედამიწა ქალამნად, მუსრს ავლებს მუმლს, იცის, თავისი საქმე როგორ აკეთოს! აი მანდ კი, — პაპამ თითი ახლა ქვემოთ მიაშვირა, — ხეს მამაშენის ნაცულარი სჭირს, ნაჭდევია დარჩენილი და ერთი მწვანე კუდა ხვლიკი თავის საზაფხულო აგარაკად იყენებს. იქ, ქალაქში, ხომ ეგრე ამბობენ... გაწვება მაგნაჭდევზე და თბება მზეზე.

— ახლაც იქაა პაპა, იქაა. — წამოიძახა მამუკამ და თვალდაჭყეტილი ხვლიკს მიაშტრერდა, რომელიც მის ხმაურზე ოდნავ უკან ჩაცურდა და ისევ გაქვადა.

— მაგის მარცხნივ, კაწალუნულ ტოტზე, მუშტის ხელად შავად რომ მოჩანს ფოთლებში, ეგ შვინტლიყას ბუდეა. შვინტლიყას ჯიშის ჩიტები ლოდებში ბუდობენ და მაგას, არ ვიცი, რა მოეწონა ამ ჩვენი პანტისა...

იმედა პაპა ხის ტანს მიაჩერდა უცბად.

— ამას შეხედე! — მიაშვირა თითო.

ხის ნაშრევზე მოზრდილი შავი ჭიანჭველა არბოდა.

მამუკა ხან ჭიანჭველას უყურებდა, ხან მასზე თვალმიშტრებულ პაპას. ვერ გაეგო, რა იყო აქ გასაკვირი, ხეზე ჭიანჭველა მიცოცავდა, ეგ იყო და ეგ.

ჭიანჭველამ მცირე ტორტზე გადაუხვია, იქიდან კი ფოთლის უზნებელ გავიდა და ნახევრად შეჭმულ ფოთოლზე აღმოჩნდა; წამიც და ფოთლის ჭამაში გართულ მწევნე, თეთრბუსუსებიან ფოთლიჭამია ჭიას წაადგა თავს. ბევრი ალარ დაუყოვნებია, სტაცა პირი და ჭია და ჭიანჭველა ბზრიალით ჩაეშვნენ დაბლა. მიწაზე დავარდნილმა ჭიანჭველამ მსხვერპლს თავი ანება და იქით-აქეთ სიჩბილი დაიწყო. რა ხმითა და ნიშნით გააგებინა თავისიანებს, ღმერთმა უწყის, უცბად რამდენიმე ჭიანჭველა მოვარდა და უცელან ერთად დაეტანენ გასაპარავად გამზადებულ ფოთლიჭამიას. სიმწრისაგან ის ერთხელაც დაიღვლანება და მერე გაქვავდა. მალე სოროში შეათრიეს მსხვერპლი ჭიანჭველებმა და თავადაც გაუჩინარდნენ.

— ხომ დაინახე, ჭიანჭველებიც დარაჭობდნენ ჩვენს პანტას, — წამოიძახა ალტაცებულმა იმედა პაპამ, — უგნი რომ არ იყვნენ, ამდენ ფოთლიჭამიას რა ტუე გაუძლებდა!

მამუკა ბიჭი გაოცებული ათვალიერებდა ამდენი მწერითა და ცხოველ-ცრინველით დასახლებულ ბებერ პანტას და უოველი ფოთლისა თუ ხის ქერქის ნაწიბურში რაღაც ახალი სასწაული ელანდებოდა.

მალე დაბინდდა და ხის ბინადარნიც მიყუჩდნენ.

იმ დღის შთაბეჭდილებებით ნახიამოვნებ მამუკა ბიჭს ტკბილი, ღრმა ძილით ეძინა, სიზმარშიც გრძელდებოდა პანტის ხის ზღაპარი.

დილით გვიან გაეღვიძა. მზეს მალო აეწია. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, უცელენების მუშაობები წასულიყვნენ.

აივანზე გავიდა და ბებერი პანტისეკნ გაიხედა.

გაიხედა და ელდა ეცა: პანტის ადგილზე ხის ძირითა ჩანდა.

ხერხით გადახერხილი ხის თეთრ, განსაღ ძირს ემჩნეოდა, რომ ბებერი პანტა ჯერ კიდევ მრავალ წელს გაუძლებდა უამთა სცლას და ქარ-წყიმას, ადამიანის ხელს რომ არ მოეღო მისთვის ბოლო.



# დიღი საქართველო

შესხვად რა რა ავანი

ამჟღავნიდან გონიომდე  
შეს და მოიფრენინა,  
შემთრიდან მესხეთიდე  
ოქითეს სხივი მოძონა...  
საქართველოს ლავკარლები  
სისარცელით მოუწინავა,  
რა ზატარი შევინა და  
რამთდენა უფარლა.

## ნიკა ლამაშვილი



### სამერძლო

ბურნეჭლიობე ცხრა ქვა,  
არა ბუღლია ხაძხია,  
ბოლნისით რებაც ტანძა,  
ორუებბ პედი ადანენის,  
რუსთაველი მღელის ვარძია,  
შცემთა თებდება არმანით,  
ვაძლეობა, — ჩემი ხაძუთაძლო  
ხაჯართაველობა დაბაცენი!

ეს მცირე მოგონება ვაჟა ფშაველაზე კუთვნის სიმონ ბერეეიანს, უცხადებულების ჩარგულ და იქვე გარდაცვლილ ქართველ კაცს. მოგონება მე შემთხვევის ანალიზის ვარდა ხელში პარიზში ყოფნისას, 1982 წელს.

ბათო ლალაშვილი-ბასხარავალი

## მოგონება ვაჟაზე

მხატვარი ელია აბაშავაძე

ათი წლის თუ ვიქენებოდი... ქართული ენის მასწავლებელი და თანაც ჩვენი კლასის დამრიცებელი, ჩვენი საყუარელი ლუარსაბ ბოცვაძე შემოვიდა კლასში, დაგვამწყრივა და ეზოში გამოგვიყვანა.

— ნეტი რა უნდა ვთამაშოთ?

— ნერგები, ნერგები მოუტანით! — დაიძახა დიდთავა ყანჩაველმა, ზაგლობას რომ ვეძახდით.

ნელი ნაბიჭით მოგვიახლოვდა შავჩოხსანი კაცი. სიყვარულით მოგვავლო ყველას თვალი, გაგვიღიმა, — გამარჯობათ, შვილებოთ. — გაგიმარჯოთ, ბატონი, — ვუპასუხეთ ერთხმად.

ჩვენი ლუარსაბი მივიდა უცნობთან, ხელი მელავში გაუყარა და აღტაცებით მოგვმართა:

— ბავშვები! ეს დღე თქვენთვის ბედნიერი დღეა! გესტუმრათ თქვენი საყვარელი მწერალი ვაჟა ფშაველა!

— „შვლის ნუკრის ნაამბობი“!

— „ია! „ია“!

— „მთის წყარო“!

— „ხმელი წიფელი“!

— „ჩინკვთა ქორწილი“! „ჩინკვთა ქორწილი“!

და გაიცხო ჩვენი ეზო ურიაშულითა და სიცილით. გაუამ გაიღიმა და თავი დახარა. მერე სამ-სამად დაგვყო, პატარა ნიჩბები დაგვირიგა. ზაგლობას დიდი ნიჩაბი ერგო და მე შემომაჩენა ხელში, შენ მაღალი ხარო. სასწავლებლის დარაჯიც მოგვეშველა და დავიწყეთ ორმოების თხრა.

ვაჟა თავს დაგვტრიალებდა:

— არ დაიღალოთ, შვილებო, არ დაი-

დალოთ! ფესვებს გაუფრთხილდით, ფეხებსა!

ნერგები ჩავყარეთ, ნორჩ ფესვებს მიწა სიყვარულით მივაყარეთ და შემდეგ სურათი გადავიღეთ ვაჟასთან ერთად. უკელა დღილობდა, მის გვერდით მოხვედრილიყო, მუჭღუგუნები და წაკვრა-წამოკვრებიც იყო. მე, სამწუხაროდ, უკელაზე მაღალი ვიყავი და მეორე მწყრივში მოვ-





ხვდი, სულ ბოლოში. სურათი ერთი კვირის შემდეგ გვიჩვენა მასწავლებელმა. უველა თავის სახეს ეძებდა. ჩემი თავი რომ ვიპოვე, დავკიმაყოფილი (ალბათ სულელურადაც გამეცინა) და სურათი მასწავლებელს დაუბრუნე.

რომ მცოდნოდა, ვაუა გახდებოდა ჩემი უსაყვარლესი მგოსანი, იმ დღეს წამით არ მოვწყვეტი თვალს, დავიმახსოვრებდი მისი სახის ყოველ წვრილმანს.

თვალებს ვხჭავ... ვიგონებ...

მხოლოდ ზავ ჩიხას ვხდება. რომ მცოდნოდა ათი წლის ბაჟშეს, შემდგომში, უცხოეთში გადახვეწილი, ვაუა სიტყვებით რომ გავითბობდი გაყინულ ცხოვრებას, აუცილებლივ მოვიპარავდი იმ სურათს.

გაიხარეს ნერგებმა, გამაგრდნენ! ფოთლებით შეიმოსეს ნორჩი მყლავები! უცვლიდით: წყალს ვუსხამდით, ქოჩორზე ხელს ვუსვამდით. დავაუკაცლნენ! როცა სამშობლოს ვტოვებდი და ჩემი უნივერსიტეტის ეზოში შევედი, ჩემი ჭადრები უკვე უნივერსიტეტს ეკუთვნოდა. მივე-

დი ჩემს ჭადართან. ხუთი ჩემოდენა იყო, აშრიალდა: — სად მიდიხარ? აქ დარჩიო!

ჩემო ჭადარო, შორსა ვარ შენგან! დიდ ქალაქში ვცხოვრობ, ქაფენილებზე დავდივარ, მიწის ქვეშ რონდით დავსრიალობ, ქარხნების, ავტომობილების და ჰაეროპლანების ხმაურით ყურები გამოქვედილი მაქვს და ხშირად ვამბობ ოხვრით: — აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე! შენთან ყოფნა მირჩევნია, ჩემო ჭადარო!

ასეთი სახოწარკვეთილების დროს ვაუას ველს მოვიგონებ ხოლმე, დილის შეზთავის სხივებს რომ დაათრევევს და ნამს აბრკუვალებს, შუაღლისას ნახირი რომ მოეფინება და ხარბად დაეწვდება ბალახსა და უკავილებს.

...უფროისი კლასის მოწაფენი წმინდა ნინოს საავადმყოფოში სანიტრად ჩავეწერეთ. ის საავადმყოფა ჩვენი სახწავლებლის ზედა სართულში მოათავეს. ზაფხულის დამდეგს დიდი დარბაზი გავანთავისუფლეთ, დავასუფთავეთ, ფანჯრები მე და ჯავრიშვილმა დაეწმინდეთ.

მეორე დღეს ვაუა მოათავეს ამ ნათელოთაში. მახსოვს: მოჩიდებით შევალე კა-

ରୁ... ଇତ୍ତା, କାରତାନ, ରଜୀନିଳ ଲୋଗିନ୍ଦ୍ରୀ  
ନିଷ୍ଠା ଗମନିକାରୀ, ଗାୟତ୍ରୀପାତ୍ର, ମାତ୍ରାରା  
ତାନିଲ କାପୁ. ଶାଙ୍କାଧମ୍ପରତ୍ନ ତେତରି, ଗାନ୍ଧୀ  
ଏରୀ ଶେରାନଙ୍ଗୀ ଉପରା.

ଶେମନମନ୍ଦେଶ୍ଵରା.

— କାରତାନଙ୍କ କାର?

— ଡିବାକ, ବାତନନ୍ଦ ଚାପା! ରମ୍ପର ବରଦାନ  
ଦେଖିବା!

— ଗମାଫଲନ୍ଦତ, ଗମାଫଲନ୍ଦତ! ଉପ୍ପାଳା  
ମାଫଲନ୍ଦାରୀ ପାର. ଉପ୍ପାଳାନ୍ଦ କାରଗବୀ କାରତ.

— ହାତକୁଣ୍ଡା, ମଦିମେଇ ଶେଇସୁନଟକା ଓ ଗା  
ନାଗରଦି:

— କାରତାନଙ୍କ ଲାକ୍ଷରିଲ୍ଲଦି ବଲମାଦା  
ଚୁବୁତ?

— ଡିବାକ, ବାତନନ୍ଦ.

ହାତକୁଣ୍ଡା, ଗାମନିକାରୀ, ଉସିବେଲା କେଲି  
ତାପକୁଣ୍ଡା ମନୋଦିନ ଓ କ୍ଷେତ୍ର ମିଦିପୁର ତାପା  
ଲେବାର... ପାଲି ତାପାରୀ, ମେଳନି ମାରକୁଣ୍ଡା,  
ହାମନ୍ଦେଶ୍ଵରା କିମନ୍ଦା... ପ୍ରକ୍ରମିଲି ମନାଦିଗା

ଶେଇ. ଶୁଭୀରି ଆୟତାମାଶଦା. ରାଲାପାଶ ଅଥବା  
ଦା... ଇନ୍ଦ୍ରି ପ୍ରଶାନ୍ତରୀ କାରିକ୍ଷାପିଲି ଶୁଭୀରିକୁଣ୍ଡା  
ଲି ଘେରାବିଶାଳା: ଶବ୍ଦାମାନିଯିପା

„ବୁଲ୍ଲ-ମ୍ପିରିଦିମିଟି ବୁଦ୍ଧିତାପରିବା,  
ବୁଦ୍ଧିଦାତ, ବା-ବାରିଦାତ“...

ଉସକୁଣ୍ଡରୀତିର ଗାମନ୍ଦେଶ୍ଵର ନନ୍ଦିଦାନ.  
ଶିବ ରମ୍ପ ଦାବଦରିନ୍ଦା, „ବୁଲ୍ଲାଲିଲ ମହାମେ  
ଲି“ ଗାଲାପଶାଲେ:

,ଶିବକୁଣ୍ଡରୀତିର ଗାମନ୍ଦେଶ୍ଵର  
ନନ୍ଦିଦାତ କ୍ଷେତ୍ରିତା  
ଓ ରାତିରିଦା ତାପିକୁଣ୍ଡରିଲି  
ମନାରାଜ କାନ୍ଦିଲ ପ୍ରକାଶିତ“...

ତୁନକାରା ଗାମନ୍ଦେଶ୍ଵର, ମିନ୍ଦନା ନିନ୍ଦା ସା-  
ବାଦମ୍ପରତ୍ନ ଉଲ୍ଲେଖିତରନ୍ତି ଯୁଗ ଗାହିଦେଶ୍ଵର  
ଲି... ଉଲ୍ଲେଖିତରନ୍ତି ଶୁଭୀରି, ରଜୀନିଲ ଲୋଗିନ୍ଦ୍ରୀ  
ନିଷ୍ଠା ଉଲ୍ଲେଖିତ ଲୋଗିନ୍ଦା ମିନ୍ଦନା.  
ପାରିଥିବା...

## ମହାଲି ଓ ପିଲି ନିମର୍ଦ୍ଦା!

ଶବ୍ଦାମାନ ଶବ୍ଦାମାନ

କେନଦିଶ କ୍ଷାରିତ ମାରିପାଦ,  
କେନଦିଶ କ୍ଷାରିତ ରମ୍ଜ କ୍ଷାରିତ କାଲାକିବ,  
ନନ୍ଦ, କ୍ଷାରି,  
ନନ୍ଦ, କ୍ଷାରି...


କେନଦିଶ ରମ୍ଜ କ୍ଷାରିତ  
କ୍ଷାରି, କ୍ଷାରିତ କାଲାକିବ  
ମନ୍ଦିରମର୍ଜିବ, ମର୍ଜିବ ମାରି.  
କ୍ଷାରିତ କାରିତ କାଲାକିବ,  
କେନଦିଶ ମାରିଦାରି...



ଏହି ରାତିକାରିଦାତ ରାତିଦାତ ରାତିଦାତ  
କ୍ଷାରିଦାତ କ୍ଷାରିଦାତ କାରିକାରିନ୍ଦା,  
କ୍ଷାରିଦାତ କ୍ଷାରିଦାତ କାରିକାରିନ୍ଦା...  
କେନଦିଶ କ୍ଷାରିତ ରମ୍ଜ କ୍ଷାରିତ କାଲାକିବ,  
କେନଦିଶ କ୍ଷାରିତ ରମ୍ଜ କ୍ଷାରିତ କାଲାକିବ,  
ନନ୍ଦ, କ୍ଷାରି,  
ନନ୍ଦ, କ୍ଷାରି,  
କେନଦିଶ ରମ୍ଜ କ୍ଷାରିତ କାରିତ!

ମାତ୍ରାମାରା ଶବ୍ଦା ବିଜାପାଦ

# მოცო + გვარები



## კულტურული ისტორია



გამაცითად, გაცილის ქვეში გვისას გვისას გვისას.



საქართველოს გვერდები უძრავი გვერდები არის აურასის საქართველო V-X საუკუნეები







# იორეაზ გრივაშვილი — 100

იშვიათად თუ რეგბია ვინმეს ქართულ მწერლობაში შემოსვლისთანავე ისეთი სტრაფი აღარება, როგორიც წილად ხვდა იოხებ გრიშაშვილს. თავი და თავი ამ აღიარებისა მისი ლექსების სილალე, გულწრფელობა და სიხადვე.

იოხებ გრიშაშვილის ბავშვობა არ იყო სახარბიელო, მაგრამ მძიმე ფიზიკური ჭაფით ნაშოვნ გროშებს იგი თითქმის მთლიანად წიგნების შესაძნად ხარგვდა. ასე თანდათან შეიქმნა იოხებ გრიშაშვილის უმდიდრესი, იშვიათი წიგნებით გამორჩეული ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის დათვალიერება დღესაც შეგიძლიათ თბილისში, პორტის სახლ-მუზეუმში.

დაუღლალავმა შრომაშ და სწავლამ იოხებ გრიშაშვილი ქართველი ხალხის ერთ-ერთ საყვა-

რე პოეტად აქცია. ძალიან უყვარდათ მისი ლექსები წინა თაობების ქართველ ბავშვებსაც. ალბათ, თქვენც გეცოდონებათ ზოგი რამ იოხებ გრიშაშვილის შვენიერი საბავშვო ლექსებიდან და პოემებიდან. განა „ბაბაგანას ქოშები“ არ გახსოვთ? ან თავნება, განებივრებულ ბავშვზე ნათქვამი ლექსი:

აარ გაშინებს ნიკოლაი სიმძიმე და სიღილე,  
კვალეულებზე იძინო:  
«მიყიდვე» და «მიყიდვე».

თუ არ წაგიითხავთ,  
წაიკითხეთ ლექსი ზარმაცხე, რომელიც თავს არ იწუხებს სწავლისათვის:

«გადახელე შენს მეგობრებს,  
კვალება აქცი ფრაგმენტი,  
შენ კრ, როგორც გაიღვიქებ,  
შეხეტვნიას მაღლები.  
ჩამოჯდები მუქის ძირას,  
აკნატუქებ მზეს მზენარასა». ა.

თუ არ წაგიითხავთ,  
წაიკითხეთ ცერიალა, მუდამ საქმიანი პელოს საქებარი ლექსი; პატარა ოსტატების — ფიდოს და მისი დაიკო ქეთოს გაეთებული „ტელეფონის“ ამბავი; ერთი მსუნავი გოგონას თავგადასავალი, საახალწლო სამზადისს დროს ცხელი საგოზინაც თავლით თითო რომ დაიწვა; ან ერთი უქნარა, ონავარი ბიჭის ამბა-

ვი, ქუჩური სიტყვებით რომ ანავიანებდა თავის მშვენიერ დედაენას.

თუ არ წაგიითხავთ,  
წაიკითხეთ იოხებ გრიშაშვილის მიერ გალექსილი ქართული ხალხური ზღაპარი „სიზმარა“, ანდა ქალაქური ხალხური ამბების მოხდენილი გამოყენებით დაწერილი — ზემოთაც რომ ვასხენეთ — „ბაბაგანას ქოშები“, „მოლა და ძალლი“, „მუსტაფას ვირი“, ან სომეხი პოეტის, ოვანეს თუმანიანის „გიორისა“ და საბავშვო პოემის „ერთი წვეთი თაფლის“ შესანიშნავი თარგმანები.

ბავშვებისათვის წერა ძალიან უყვარდა იოხებ გრიშაშვილს, „ვგრძნობდი, რომ ჩემი ენა და ლექსებწყობა პატარებს გაახარებდა“—ო.

ერთ-ერთი ხაბავშვო წიგნის შესავალ წერილში იგი ასე მიმართავდა პატარა მეგობრებს:  
„ეს ლექსები თქვენმა სიყვარულმა დამაწერინა, თქვენ შთამაგონეთ ისინი“. ა.

სიხარულით და სიყვარულით საკითხავია ის ლექსიც, ახლა რომ წაიკითხავთ ჩვენს უურნალში:

ვარჩალიც ჩალაცი

# ქახტაწყას 3060

კერძო ხედავთ ჩვენს მუსტაფას, რა მარდია, რა მხედვ არი! ქაღაქისკნ გახასიუიდად მიჟეას თავის სხევდარი. უკან მისდევეს თვით მუსტაფა და იმისი შვილიმუშალი. გზად სოფელები ხედებათ ბევრი და მინდორი გადამდიდო. ერთ სოფელს რომ მიაღწიეს, აუგასწდ ხალხი ხელად: „შეხეთ, ფეხით ჩანხალებენ, ვირა მიდის ცარიელად!“ და როდესაც სოფელს გასცდნენ, და როდესაც მარტედა ხალხი, — თრივენი ვირზე შესხდნენ, წინ — მუსტაფა, უკან — ბაღდად. სხვა სოფელები რომ შევიზნენ, ახრიალდა დიდ-პარარა: „ერთ საბრძლო ვირუსანე თრი ვირი შემთმჯდარი!“ და მუსტაფას შერცხვა უცდად ამ სმაურნე, ამ ევრილზე, შვილიმუშალი მირს ჩამოსვა,

ორთულის  
გამარტინი  
ხარხარებს  
და აშეეტს თვალებს:  
„ზაბა ვირით მიბრძადება,  
ბავშვი უეხით მიჩანჩალებს!“  
და მუსტაფამ მაშინათვე  
მიატოვა ვირის ჭის,  
შვილიმუშალი ვირზე შეხვა  
და თვითონ კი გატვა ფეხით.  
აგერ კიდევ სხვა სოფელი  
დახცინის და არ ასვენებს:  
„ბურიგაცი უეხით მიდის,  
ციცქნა ბაღდა ვირს აშენებს!“  
აქ მუსტაფა გაგვიძრაზედ,  
მირს ჩამოსვა მეისევ ბავშვი:  
— თურმე ეველა ადამიანს  
თითო ჭის უდევეს თავში!  
არ სჭობია, გზა განგვირძო  
ჩემს ჭიშანე, დინჯად, ხელად,  
მე რომ ამათ ეური კვებდო,  
გადამრევენ უებელად!  
თქვა და სახრე მოიქნია,  
აღარ უგდო არვის ეური,  
სახედარი წინ გაიგდო,  
გზა ირჩა მველებური.



# ରମେ ହାତାରନ୍ଦି

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ  
ବିଜୁଳିପାତ୍ର

ତାଙ୍କ ଶାଶ୍ଵତ ପାତାଳି

ମିଳା ଶାଶ୍ଵତ ମରକାରା  
ଲୋଶାଠ ଟେଟରି ଫୁଲାଠା,  
ଶୁଭକ ଦୀଗୁଷୁପ୍ପାଳ ଗୁଣଦୀ  
ମିଳେଣ୍ଟିକ ରାମିଠାନ୍ତାଳ.  
ନାହାଯେନା ତଥରିଲୁଛି ଧା  
ନ୍ତେଇ ଶ୍ରେଷ୍ଠଦିନକୁ ଫ୍ରାଣ୍ଡଲୁକୁ  
ଟ୍ୟୁଟରିଲାବୁ କୁ କୁରିବୁ ମନ୍ଦରା  
ଭୂଲିନ୍ଦାଳୁ କିଲାନ୍ତାଳୁଲୁଲୁ.  
ଏହି ଦେଖିଲାବୁ ମନ୍ଦରାଲୁଲୁ  
ମିଳା ଶାଶ୍ଵତ ଦୀଗୁଷୁପ୍ପାଳ,

ଶୁଲ୍ଲାଶ୍ରେଷ୍ଠଦି ନେରିଗାନ୍ତି  
ଦିମି ଶୁତମାଶ୍ରେଷ୍ଠଦି.  
ଲାଦା ଏର ଦ୍ୟାରୁଶ୍ରୀକାଳୀ,  
ଦ୍ୟାଶ୍ରେଷ୍ଠଦି ଶାରିନାଳୀ,  
ଶ୍ରେଷ୍ଠଦି କ୍ଷେତ୍ରନ୍ତି ରାମିଠାନ୍ତା  
ମାରନ୍ତି କାଦାରାନ୍ତା.  
କୁ କୁ ଶୁତରେଇ କାରିତା  
କ୍ଷେତ୍ର ଏହରେ ଶ୍ରେଷ୍ଠଦି  
ରାମି କାଦାରାନ୍ତା, କାରି ଦିନା  
ମନ୍ଦରାଲୁଲୁଲୁ ରମ୍ଭରତିକାରା.



# ଶ୍ରୀପତ୍ରିବଳ କଣ୍ଠ ଅନ୍ଧାକାଳୀଙ୍କ

କାଲାଳ କରାରିକିମ୍ବା

ଗୁହ୍ନାକୁଟ୍ଟୁଲାଇ, ଉପରୀଲା ଗୁହ୍ନାଫ୍ରକ୍ଷୁଲାଇ, ଆମିନ୍  
ଲୁହ ମଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାଇବା. ଏଣୁ ପାଇବା ଓ ଏଣୁ ଉପରୀଲା.

କାହା ଓ ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵାଲିଲା ତୁମ୍ଭରେ ମିଳିଯାଇବା  
କାହାରେ ଥିଲୁବୁ?

ମହାରାଜାରେ ଆତାଖିଲ ଓ ତୁମ୍ଭରେ ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵର.

ମାନାମଲ୍ଲେ ଯେମନ୍ତରେ ତୁରାନିଶ୍ଵରିଯାଇବା ଗାନ୍ଧିତା-  
କୌଣସିକିର, ମାଗରାମ ଏହି ତୁମ୍ଭରେ ଉପରୀଲା ମେତ୍ରିଶ୍ଵରୀରେ  
ନିର୍ମଳମା, ଯୀବାର, ତୁମ୍ଭ ପାରିନିଶ୍ଵରନା ମିଳି-  
ଦେଇଲାରା, ଏହି, ମାଘଲିଲି ଦାରିଦ୍ରିର, ଦୁଃଖ-  
ଲୁହ ଗାନ୍ଧିତାରେ.

— ମିଳିଯା, ଗୁହ୍ନାକୁଟ୍ଟୁଲାଇ, — ତୁମ୍ଭରେ ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵର-  
କାମିଆ, — ଏହି ଉପରୀଲା କାରିଗାର ମିଳିଯାଇନ୍ତି, —  
କାହାରାତା ମିଳିବାରେ ଫାଲଗ୍ରା ଓ ଦାରିଦ୍ରି ଗାନ୍ଧିଦ୍ରା.

ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରନ୍ଦ୍ରନ୍ଦ୍ର ଓ ଦୂରିଦୂରିଦୂରି ଗାନ୍ଧିନ୍ଦ୍ରିଯା — ନେ-  
ତ୍ରା ଯିବ ଏଣାନ ଲୁହ ରାଶ ଲୁହାନିନି. ମାତ୍ରମନ୍ତରାତ୍ର  
ମନ୍ଦିରାଇ, ରତ୍ନା ଗ୍ରମଶ୍ରଦ୍ଧାର, ମାଥିନ ଗାମରିନିନିଲେ  
ଦେଇବ ଗୋଟିଏ, ଯିବ ଫାନ୍ଦିବ, ଯିବ କାନାନ୍ଦିବ ଏଣ ଗନ୍ଦିଲା. ଶକ୍ତି  
ନିକିତ ଯାନିକ, କୈକାନିନ୍ଦିଲା ଏଣ ମିଳିଯାବା.

ତେ, କାହାରା ଓ ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵରିଲା ଯେତି ସାନ୍ଧେଲି  
ଗ୍ରହିତା, — ଗୋତ୍ରଗ୍ରା. ମାଗରାମ ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵରିଲୁ,  
ଜୀବ କାତାରାତାର, ଯିବ ଯାକିନ୍ଦିନି. ରମେ ଗାନ୍ଧିନ୍ଦ୍ରିଯା  
ଦୁଃଖିଲା ଓ କମା ଦୁଃଖିନିଲାର, ମାତାପାତା ଲୁହିଲା ସା-  
ନ୍ଧେଲି — ଗୋତ୍ରଗ୍ରା ଗ୍ରହିତାରା.

ଗୁହ୍ନା ଗାନ୍ଧିନ୍ଦିଲୁ, ଗାନ୍ଧିନ୍ଦିଲା ମାଘଲିଲି ଦାରିଦ୍ରି  
ଓ ଲୋହ ଏଗାଲିନିଦିଲା ଦୂରିଦୂରିଦୂରି.

— ମେହ ମେମନ୍ଦିରିଯାବା, ତୁମ୍ଭା ଗାନ୍ଧି.

— ମେମନ୍ଦିରିତ, — ତୁମ୍ଭା କାହାରା, — ମାଗରାମ  
ରା ମେମନ୍ଦିରିତ? ଗାନ୍ଧିନ୍ଦିନାରା: ଏହି ରମେ ମାଲାନିନ  
ମନ୍ତ୍ରିନିବେ, ବେ ଲେଖିବ ମେମନ୍ଦିରିତ.

— ରମେଲିନ୍ଦ୍ର ମେହିନ୍ଦିନା?

— ମାହାରାଜିନ୍ଦ୍ରିଯାବା, ଶ୍ଵାଲିଶ୍ଵରିଲା? ଏହାବା:

ଏହି ରମେ ଜୁନାଗିରି ମେହିନ୍ଦିଯିବା,

କେବେନିଦିଲା ରମେ ମେହିନ୍ଦିନା,

ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାରିଦିଲା ଏହିକିମି

ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାରିଦିଲା ଏହିକିମି,

କାରିଗାରିକିମି ଏହିକିମି

କାରିଗାରିକିମି ଏହିକିମି

କାରିଗାରିକିମି ଏହିକିମି

କାରିଗାରିକିମି ଏହିକିମି

ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାରିଦିଲା ମେହିନ୍ଦିନା?

ନିଜକାରିକିମି ଦୁଃଖିନ୍ଦିନା,

ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାରିଦିଲା ଦୁଃଖିନ୍ଦିନା,

ନିଜକାରିକିମି ଦୁଃଖିନ୍ଦିନା,

ନିଜକାରିକିମି ଦୁଃଖିନ୍ଦିନା, —

ଏହି ରମେ ଜୁନାଗିରି ମେହିନ୍ଦିଯିବା,

କେବେନିଦିଲା ରମେ ମେହିନ୍ଦିନା.


— ଏହି ଲେଖିବ ଏହି କେବା ଗ୍ରହିତାର ଗ୍ରହିତାର?

— ମାତ୍ର ରା ଜ୍ଞାନାତ?

— ଏହିକି ଗାମରିନିନିଲେ ଜ୍ଞାନିଲେ.

ମାତ୍ରମନ୍ତରାତ୍ର ଗାମରିନିନିଲା: ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରିଯାରିଦିଲା

ମାତ୍ରମନ୍ତରାତ୍ର ଗାମରିନିନିଲା.



გამარჯობა-გაგიმარჯოსთ.

— კარგ დროს გამოჩნდი, — უთხრა გიორგი, — მე და პაპას უნდა გვემდერა, მაგრამ ერთი ხმა გვაკლია. აბა, მოემზადე: მე მეორეს ვიტყვია, შენ — პირველს, გიორგი პაპა კიდევ ბანით შევვეწვა.

— მე ვერ ვიმღერებ?

— რატომ?

— უხასიათოდ ვარ.

— რათა, რა დაგვმართა, ბიჭი?

— არჯა კელზე ვიყავო, მაგრამ ვერ დავკრიფტო, გადაბერებულა.

— აღძათ პირმზითებზე ექცედი, — გავლიმა გიორგი პაპას, — დაბლობებში, ჩრდილში უნდა გვებინა. რაღა თქმა უნდა, პირმზითებზე უკავე გადაბერებული იქნება. ვაკავლი ხომ არ უჩინდა?

— არა, მაგრამ აღარც ბევრი უკლია.

— წამოდი ჩვენთან; გუშინ კალათის წევლზე ვიყავი და იმდრი შევიგულა, მოკლ ჩვენს უბანს ეყოფა.

— რაკი ეგრძეა, ხასიათზე მოველ უკავე და, ვიმღეროთ.

— კარგი ბიჭი ხარ, კარგი ქართველი, კარგი დედმამიშვილი, პირდა, კარგი ქართველიც უნდა იცოდე, — ჩაფიქრდა გიორგი პაპა, — უნდა გვთქვა — გუნდებაზე არა ვართ; მერე — გუნდება გამოიმარტო, გუნდებაზე მოველოთ. ხასიათი თანდაყოლილია, შვილო, შევეცვლელი, ადამიანს არასოდეს ეცვლება ხასიათი.

ბევრიც ეცადოს, მაინც ვერ გამოიცვლის, ამ მისი ბუნებაა, მისი თვისება.

— ლექსი კონებში ოომ მასე პრ წერაა?

— მერე რა, ლექსიკონებშიც ადამიანის შედევნილია და, რადა გასაკვირია, შეცდომა რომ დაუშვან. გუნდება განწყობილების ნიშნავს, რაც გარემოს მიხედვით, ანდა ადამიანებთან დამთკიდებულებით იცვლია, ესე იგა, ფრთხობითია. ზოგი იმას კი არ ამბობს, გუნდებაზე არა ვართ, არამედ — უქმიფიდა ვართ, რაც იმას ნიშნავს, ქიოფის, მთარულების გუნდებაზე არა ვართ, მოკლედ, უგუნდებოდა ვართ. აკი ხალხური ლექსიც გვაუბნება:

ნებავი გამაგებინა,

რაძე მეგიცვალდ გუნდა.

ხალხს არაფერი ეშლია, ხალხმა უვლაფერი იცის, ხალხი ბრძენია! რაიმე კარგი არ მოეწონება ვინმებ, თუ ცუდი მოეწონება, იმაზე გამბობა — კაცა და გუნდათ. ანლავა თუ არ ისწავლე, შვილო, მერე დაგვაინგებული იქნება. შეიძლება დაგვაინგებული არ იყოს, მაგრამ რაღა ძალაა, ის არა ხჯობა, ბაგშეობიდანვე რომ გეცოლინება? ასეთი ცოდნა არასოდეს, არასოდეს, ამოგეშლება შესსიერებიდან... ახლა ვიმღეროთ.

ვიმღეროთთ, მაგრამ აღარ უმღერათ: როცა ბულბული გალობას, მაშინ რომ ვიმღეროთ, თქვენი არ იყოს, მეც უხერხული მყინია.





## 02020 საღილი

სახელგანთქმული, თითქმის უკვე  
მოლად დაყრულებული გერმანელი კომპი-  
ზიტორი ლუდვიგ ვან ბერთოვენი, რო-  
გორც ყოველთვის, იმ გაზაფხულსაც ქა-  
ლაქიდან სოფელში გაემგზავრა. ივლისის  
ცხელ ნაშუალევს, ის, ჩევლებისამგბრ,  
ტრაქტირში შევიდა, რომ გამაგრილებული  
სასმელი დაელია და ცოტა წახემსა. ცა-  
რიელ მაგიდას მიუჭდა და ოფიციანტს  
უხმო, მაგრამ იგი არ მივიდა.

— ოფიციანტო! — ერთხელაც დაუ-  
ძახა ბერთოვენმა, მაგრამ კულავ ამაოდ.

კომპოზიტორმა, დროის მოხაკლავად,  
ჯიბიდან ქალალის ფურცელი და ფანქა-  
რი ამილოდ და წერას შეუდგა. ცხადია,  
ნოტების დაწერას! ეს ხომ მის ცველაზე  
სანუქვარი საქმიანობა იყო. დროდადრო  
მარცხენა ხელის თითებით ტაქტს ითვლი-  
და და მელოდიას ლილინებდა. ბერთოვენი  
უკვე დედამიწაზე აღარ დაბიჭებდა, იგი  
მუსიკის სამყაროში დანავარდობდა.

ცოტა ხანში ოფიციანტი კომპოზიტო-  
რის მაგიდისაკენ გაემართა, მას თავიდანვე  
შემოესმა სტუმრის ხმა და ორგერვე გა-

ძახა, — ახლავე მოვალო, — მაგრამ შეი-  
ჰოვენმა ეს ვერ გაიგონა.  
როცა ოფიციანტი მაგიდასთან მუდალებულება  
დაინახა, რომ ბერთოვენი ქალალდზე სწრა-  
ფად წერდა ნოტებს. გაიფიქრა, — ხელი  
არ შევუშალო! — და ფეხაკრეციონ გა-  
შორდა.

ნახევარი საათის შემდეგ ბერთოვენი  
წამოდგა. მოელი გულისყურით დაცერ-  
და ნაწერს, მოწონების ნიშად თავი დაიქ-  
ნია, მესამედ იხმო ოფიციანტი და ანგარი-  
ში მოსთხოვა.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ არაფერი მი-  
გირთმევიათ, ბატონი ჩემო! — უთხრა მან.

— შენ არ, მეხუმრები? — წევნა შე-  
ეცარა ბერთოვენს ხმაში, — შვენივრად  
ვარ დანაყრებული.

— მაგიდაზე რომ ჭურჭელი არა დგას?

— ალბათ, როცა ვწერდი, მაშინ წაი-  
ლე.


სტუმარი რომ მეტად არ გაებრაზები-  
ნა, ოფიციანტმა თავაზიანად ჰყითხა:

— ესე იგი, გადახდა გნებავთ?

— დიალ, ოლონდ მალე ქენით!

ოფიციანტმა წინა საღილების მიხედ-  
ვით უანგარიშა.

ბერთოვენმა მხოლოდ დაგამებულ  
თანხას დახედა, მაგიდაზე მონეტა დაუდო,  
მაღლობა გადაიხადა და ისე, რომ არაფე-  
რი უკამია, სრულიად დანაყრებული გა-  
უდგა გზას.



საქ. სსრ კ. შეგენის  
სახ. სახ. ჩესტებ.  
გრაფიკოსიანი

ჩატატერი ელევანც ამაონაპა



გივი მლახიშვილი

ათასხუთას წელზე მეტია, რაც ჩვენს დე-  
დაქტლაქს მაღლიდან ამავად გადმოსქვერებს  
მისი მთავარი დამცველი ციხე — ნარიყალა.

ჩვენი ერთი ისტორიაში სხვადასხვა დროს  
იფი სხვადასხვა სახლითა არის მოხსენებული:  
დედოციხე, თავადი ციხე, მაღალი ციხე,  
დღეისათვის კი მას სახლი ნარიყალა შემორ-  
ჩა.

მისი მშენებლობა მეწუთე საუკუნეში მე-  
ფი ვანტანგ გორგასალის პრამნებით დაწყე-  
ბულა, შემდეგ კი ვანტანგის ვაჟს, დარის და-  
უნრულებდა.

თხუთმეტი საუკუნე იცავდა ნარიყალა  
ჩვენს დედაქტლაქს, მრავალი ომი გადაუხ-  
და, ბევრი განსაცდელიათვის გაუძლია,  
დაქცეულა კალი, მაგრამ ჩვენს წინაპრებს  
ფოვლების დიდი გელომოლგინებით აღუდ-  
გნიათ.


ყოველმა საუკუნემ და გპოქამ თავისი კვა-  
ლი დაარჩია მის კედლებს. ის, რაც დღეისათ-  
ვის შემოგვრჩა, სამშენებლო მასალის წყო-

ბის და თვით მასალის მიხედვით სხვადა-  
სხვანაირია. განსაკუთრებით ლამაზად გა-  
მოიყერება ხალიჩისებური წყობით ნაგები  
კოშკები. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენი-  
ლია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი:  
წყალსაცავი, ობსერვატორიის ნაშთი, კელე-  
ბის საფუძველი, სასახლის ნანგრევები და  
სხვა.

ამჟამად აქ დიდი აღდგენითი სამუშაოები  
მიმდინარეობს.

ნარიყალას ციხეს ქალაქის მხრიდან ორი  
მისახლელებია აქვს, ერთი ორთაჭალიდან, აბა-  
ნითაუბინის გავლით, მეტე — ლენინის მოედ-  
ნის მხრიდან, მოტანიკურ ბაღში შემავალი  
გვიარაბით.

ბავშვები, თავისუფალ დროს, კარგ ამინ-  
ში, სხოთვით თქვენს უკროხებს, მშობლებს,  
ავტოკავშირ ნარიყალაზე, მისი დათვალიერე-  
ბა დიდ სამოწვებას მოგანაცხებთ, თბილი-  
სის ისტორიასაც უკეთ გაეცნობით და უდა-  
ვოდ კმაყოფილები დარჩებით.




# ჭ ურავაცი უკლები

## ვითამაშოთ შეგისა

ბავშვების ბევრს გიუვართ შესის თამაში. პოდა, ამიერიდან, შესის ცნობილი ოსტატი ვლადიმერ კადერლაჟი დროდაღრი შემოგთავაზებთ საუშო ამოცანებს. შეეგიბრეთ ხოლმე ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად ამოხსნის მათ.

11



ახლა კი დახედეთ ამ ნახატს და მონახეთ თეთრების მოგება ორ სკლაში. იცოდეთ, რომ ორმაგი მაიეს ნიშანებს მარბილს / დამჯას /.

ვოთა ავირანავალი

ამ ანდაზაშ თქვენთან ბრძული  
ახრი გმირმატანა:

ცული როგორ ხეს აქცეულო,  
თუმც თვით კიბ ჰატარა.  
ბოდით ქართილის ქალაქია,  
მოსაძებნად ადგილი,  
ერთად გახლავთ მტერთა მდგვის  
უწმინდები ადგილი.

# შეგისა

# შეგისა

საქართველოს აღმა ც. 0-ს  
და 3. 0. ღვერის სახმადების  
ამონის მის რეაგინისას 0001-  
რესპუბლიკური საბრტყელის შემ-  
ხალი ვეროვნებულისას 0001-  
30b.

გამოცემის 1904 წლიდან,  
საქ. კა ც. 0-ს გამოცემდება.

მოგვარი რეაგინი  
რეკან 0656033020

სარეაგინო კანკონი ვარდად ამონ-  
ისი, მანის ანისი, დამარ მარა,  
სისი მარამანი, ვარი დავითი-  
ამილი, სისი ვარი დავითიანისი, ვა-  
რინა მარა, მარა და მარამანი, ვა-  
რანა მრავალისი, ჯორა მრავალი,  
ვარი მრავალი, ვარი გამონანი,

სამხატვრი რეაგინი  
ბორისი რონისი

რეაგინი რეაგინი  
3620 ღვერისი

მოსაძროვი: რეაგინი, გამოცემდების,  
სტანდარტ-ონბრინი, ღვერის 14. ტეს:  
პრ. რეაგინისი 93-41-30, 93-98-15;  
პ/პ. მრავალი 93-10-32, 93-98-18; სამ.  
რეაგინისი 93-98-18; განვითარება-  
ბის 93-98-19.

გადაეცა ასტრიდა 20.02.89 წ., ხელმი-  
წინადაღი დაბადებით 25.04.87წ., ქ-  
ლილის ზონა 60x90 კმ., თემ. ნაი.  
უკრ. 2,5. ტიჩანი 168.000, მუკუ-  
მა 6412

კვალ ნახატი  
ჯებალ ღვერისი

«Дила» («Утро») — ежемесячный  
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузин-  
ского Республиканского Совета Все-  
союзной пионерской организации им.  
В. И. Ленина, для младшескансников,  
на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Реваз Ианиши-  
ли (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.

Объём 2,5 печатных листа, тираж  
168.000.

୬/୪୪/୩୨



୩-୦୦୨